

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის მომზადებამ, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური რეორგანიზებულ უნდა იქნას საჯარო სამართლის იურიდულ პირად – შემოსავლების სამსახურად.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ურთიერთშესაბამისობაში იქნას მოყვანილი „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი და საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის საქართველოს საგადასახადო კოდექსში და მითითებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურზე იცვლება მითითებით საჯარო სამართლის იურიდულ პირი – შემოსავლების სამსახურზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვერცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს იმ პირებზე რომელთა მიმართაც გავრცელდება ეს კანონი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ღვინდება ჯარიმები, გადასახადები და მოსაკრებლები.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.